

დმანისის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2026-2029 წლების ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების და მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2026-2029 წლებისთვის, 2024 წლის და მიმდინარე 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში ქალთა და ბავშვთა თანასწორობის საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს ხელშეწყობის ღონისძიებები.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯება (საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება), რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადები.

ისტორია

ქვემო ქართლში დმანისის მუნიციპალიტეტს განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი გამოირჩევა თავისი მდიდარი წარსულითა და უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენებით. დმანისი მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია უძველესი „Homo-erectus“-ის ადამიანის ნაშთები (ოთხი თავის ქალა, ხუთი ქვედაყბა და სხეულის სამოცამდე სხვა ნაწილი), რომელიც თარიღდება 1.8-1.7 მილიონი წლით. აქედან გამომდინარე კაცობრიობის ისტორია დმანისისა და იწყება.


დმანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ადამიანის ცხოვრების ყველა პერიოდი, დაწყებული მისი წარმოშობა-ჩამოყალიბებიდან. გამოვლენილია ყველა დროის მრავალრიცხოვანი არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლი, მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალით. მათ შორის უნიკალურია საერთაშორისო სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარე - დმანისის ნაქალაქარი, რომელიც თბილისის შემდეგ ერთერთ ყველაზე ძლიერ ქალაქად ითვლებოდა. იგი შუა

საუკუნეების კლასიკურ ქართულ ქალაქს წარმოადგენდა, სადაც მე-13 საუკუნეში ქართული ფული იჭრებოდა (დავით ნარინის მონეტა).

მდებარეობა

დმანისის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს და ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის. მუნიციპალიტეტს ესაზღვრება - თეთრიწყაროს, წალკის, ბოლნისის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები და სომხეთის რესპუბლიკა.

მუნიციპალიტეტის ცენტრი – დმანისი - თბილისიდან დაშორებულია 102 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან - 116 კმ-ით, უახლოესი რკინიგზის სადგურიდან (ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთი) - 30 კმ-ით. მანძილი უახლოეს საბაჟომდე 38 კმ-ს შეადგენს.



ფართობი და გზების სიგრძე

დმანისის მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69700 კვ.კმ) 1,7%-ს შეადგენს, შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 1198.8 კვ.კმ მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 84985 ჰა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს - 29287ჰა, ხოლო გამოუყენებელი ფართობია- 5608ჰა.

კლიმატი

კლიმატურად დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს, ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ზომიერად ცივი ზამთრით, თბილი ზაფხულით და ნალექების ორი მაქსიმუმით. ზღვის დონიდან 1,250 მ სიმაღლის ფარგლებში (დმანისის მეტეოსადგურის მდებარეობა) საშუალო წლიური

ტემპერატურა 7.80C-ია. ყველაზე ცივი თვის (იანვარის) საშუალო ტემპერატურა – 2.70C, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი -280C. ყველაზე ცხელი თვის (ივლისის) საშუალო ტემპერატურა 18.20C-ია. აბსოლუტური მაქსიმუმი კი 350C. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (+100C-ზე მაღალი) 2,470C. მზის ნათების საშუალო წლიური ხანგრძლივობა 1,900-2,100 სთ.

ნალექების წლიური ჯამია 600-700 მმ. თვიური ჯამის მაქსიმუმი, როგორც წესი, მაის-ივნისში მოდის და საშუალოდ 110 მმ-ს შეადგენს. მეორე მაქსიმუმი სექტემბერ-ოქტომბრისთვის არის დამახასიათებელი – 60 მმ-მდე. ნალექების მინიმუმი დეკემბერშია – 24 მმ. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გვალვები. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 2.8 მ/წმ-ს უდრის. ძირითადად გაბატონებულია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ქარები. ზაფხულის თვეებში ხშირია კოკისპირული წვიმა და ელჭექი, რომელსაც ხშირად თან ახლავს სეტყვა. სეტყვიან დღეთა საშუალო წლიური რაოდენობა 4-5.

ბუნებრივი საფრთხეებიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია მეწყრული პროცესები, ღვარცოფები, წყალდიდობები და წყალმოვარდნები რასაც თან ახლავს ნაპირების ეროზიული პროცესების გააქტიურება, ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, გვალვა და სეტყვა. ასევე კლდეზვავები და ქვათაცვენა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოქცეულია სეტყვის მაღალი საფრთხის ქვეშ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქტიურად იმეწყრება გომარეთის პლატოს კიდეები. მდ. მაშავერას კანიონსა და ბოლნის-დმანისის საავტომობილო გზის ცალკეულ მონაკვეთებზე აქტიურია კლდეზვავისა და ქვათაცვენის პროცესები.

ბუნებრივი რესურსები

მიწის რესურსი

დმანისის მუნიციპალიტეტში გავრცელებულია მძიმე შავმიწა, მუქი ყავისფერი და ნემომპალა კარბონატული ნიადაგები. ნატბეურ ტაფობებსა და ტბების პირას გვხვდება დაჭაობებული და ნესტიან მდელოიანი ნიადაგები. აქაური ნიადაგი მდიდარია მაგნიუმით და კალციუმით, უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს ნატრიუმსა და კალიუმს. ასეთი ტიპის ნიადაგებს, ერთი მხრივ, კარგი აგრონომიული თვისებები აქვს ხოლო მეორე მხრივ, ადვილად ექვემდებარება ეროზიული პროცესების გავლენას. ნიადაგების სტრუქტურა ხელს უწყობს მაღალი კვებითი ღირებულების, ეკოლოგიურად სუფთა მარცვლეულისა და ბოსტნეულის წარმოებას, როგორცაა: კარტოფილი, სტაფილო, ქარხალი, კომბოსტო, ლობიო, სიმინდი, ხორბალი და სხვა. ბუნებრივი სათიბები და სამოვრები ალპურ და სუბალპურ ზონებში მდებარეობს, რაც ერთ-ერთი მყარი წინაპირობაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და მეცხვარეობის განვითარებისათვის.

წყლის რესურსი

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოედინება მდინარეები: ხრამი, მაშავერა, მოშევანი და შავწყალა. მდინარეები გამოიყენება ირიგაციული და ენერგეტიკული დანიშნულებით. მაგალითად, მაშავერაზე ფუნქციონირებს 5 სარწყავი სისტემა, რომელიც ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების 7440 ჰა ფართობს რწყავს. მუნიციპალიტეტში მდებარეობს 3 საირიგაციო წყალსაცავი: იაკუბლოს, პანტიანის და მთის ძირის, რომელთა მთლიანი მოცულობა დაახლოებით 19 მლნ მ³-ია. ამ მდინარეების რესურსები 1-დან 2 მეგავატამდე სამძლავრის ჰიდროელექტროსადგურის კასკადების აგების საშუალებას იძლევა. გარდა მდინარეებისა, მუნიციპალიტეტში არის 2 ბუნებრივი ტბა – პანტიანისა და გომარეთის.

ტყის რესურსი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 23 936 ჰა ფართობი ტყეს უკავია, აქედან 5 500 ჰა-ზე ფიჭვია გაშენებული, 20 ჰა-ზე – კაკალი, 0,5 ჰა-ზე წაბლის ხეებია, 5 ჰა-ზე – მოცვის ბუჩქები, 5 ჰა მუხის ხეებს უჭირავს. ტყის მნიშვნელოვანი ნაწილი წიფლის ხეებით არის დაფარული, მას მოსდევს რცხილა, ხოლო შედარებით ნაკლები რაოდენობითაა იფანი, მუხა და სხვა ხეები. გავრცელებულია ასკილი და სხვადასხვა კენკროვანი მცენარე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული

ბუნებრივი და გაშენებული ტყეები რეკრეაციული დანიშნულებისაა. ასეთია, პანტიანის ტბის გარშემო არსებული ფიჭვის ტყე, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში მრავალ დამსვენებელს იზიდავს.

მინერალური რესურსი

მუნიციპალიტეტს სამშენებლო მასალების წარმოების დიდი რესურსი აქვს გრანიტის, ქვიშის და პემზის სახით. მოსაპირკეთებელი მასალებიდან მოიპოვება: ბაზალტი, ყვითელი და მწვანე ტუფი. მოქმედებს ოქროს შემცველი და დიდი რაოდენობის ტორფის საბადოები, რომლის გამოყენება შესაძლებელია სოფლის მეურნეობაში ნიადაგის გასანოყიერებლად. მუნიციპალიტეტი მდიდარია როგორც სასმელი, ასევე სამკურნალო წყლებით.

მოსახლეობა

დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2024 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით 22400 ადამიანი ცხოვრობს.. მუნიციპალიტეტში 58 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 57 სოფელი.

დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,6%-ია.

შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ დმანისის მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, იგი მაინც საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას. მაგალითად 2024 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილია სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 29,9 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ დმანისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

დმანისის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2024 წლის მონაცემების მიხედვით

დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ.კმ)	შემოსავლები (ათას ლარებში)	გადასახდელები (ათას ლარებში)
სულ საქართველო (ნაერთი)	3,704 500	69700	28 357 000,0	27 942 000,0
ქვემო ქართლის რეგიონი	438900	6436	1 819 200,0	1 819 200,0
დმანისის მუნიციპალიტეტი	22400	1198,8	34775,9	34 775,9
პროცენტი საქართველოსთან	0,6	1,72	0.12	0.12
პროცენტი რეგიონთან	5,1	18,6	1.91	1, 91

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2026-2029 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2026-2029 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა დმანისის მუნიციპალიტეტის 2026--2029 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები						
დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ბეგმა	2026 წლის პროექტი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი	2029 წლის პროგნოზი
შემოსავლები	28 866.7	29 899,5	27 716,5	29 625,3	31683,6	33 697.2
გადასახადები	17 974.6	21 065.2	24297,2	26188,6	28244,2	30474,5
გრანტები	8260.0	5 957,3	430,7	430,7	430,7	430,7
მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები	8245.7	5 957,3	430,7	430,7	430,7	430,7
სხვა შემოსავლები	2632.1	2 877.0	2988,6	3006,0	3008,7	2 792,0
ხარჯები	18369.3	20 399,5	22414,2	21745,7	21677,2	21717.9
შრომის ანაზღაურება	3428.3	4042.7	5223,7	5220,0	5220,0	5220,0
საქონელი და მომსახურება	3840.5	4463,7	3391,0	3352,5	3304,0	3314,7
ძირითადი კაპიტალის მომსახურება						
პროცენტი	10.9	10,0	5,0	0	0,0	0,0
სუბსიდიები	6244.1	7734,9	9526,3	9633,7	9633,7	9633,7
გრანტები	1817.3	687.9	300,3	145,0	145,0	145,0
სოციალური უზრუნველყოფა	1911.8	1721,1	2192,7	2081,0	2061,0	2081,0
სხვა ხარჯები	1116.4	1739,2	1775,2	1313,3	1313,3	1323,3

საოპერაციო საღდო	10497.4	9500,0	5302,3	7879,6	10006,4	11979.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	11950.8	13146,2	5274,5	7879,6	10006,4	11979,3
ზრდა	12987.3	13673,2	5324,5	7899,6	10026,4	11999.3
კლება	1036,5	527,0	50,0	20,0	20,0	20,0
მთლიანი საღდო	-1453.4	-3646.2	27,8	0,0	0,0	0,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	1453.4	5824,6	0	0	0	0
ზრდა		2122,8	0	0	0	0
კლება	1453.4	-2122,8	0	0	0	0
ვალდებულებები ს ცვლილება	-55,6	-55,6	-27,8		0	0
ზრდა			-	-	-	-
საგარეო						
საშინაო						
კლება	55,6	55,6	27,8		0	0
საგარეო						
საშინაო	55,6	55,6	27.8		0	0
ბალანსი	(0.00)	0,0 -	0.00	(0.00)	(0.00)	(0.00)

2.2 გასული 2024 წლის და მიმდინარე 2025 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება

2024 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთი ცვლილების გეგმა განისაზღვრა 35006.5 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 35208.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 101.2%-ი.

ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 28866.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (28801.7 ათასი ლარი) 100,2% და მთლიანი - შემოსულობების 82% შეადგინა. მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 17974.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 17607.6 ათასი ლარის 102.1 %. წინა წელთან შედარებით (ფაქტი - 14443.7 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 3530.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. აღნიშნული გამოწვეულია გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების გაერთიანებით, რამაც გადამხდელებს საშუალება მისცა გადასახადის ერთ სახეობაში არსებული ზედმეტობით დაფაროს სხვა საგადასახადო ვალდებულება ან გამოიყენოს იგივე გადასახადში. აკუმულირებული თანხის უდიდესი ნაწილი დამატებული ღირებულების გადასახადიდან მოდის ხოლო ქონების გადასახადიდან მიღებულია 2017.2 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 1449.0 ათასი ლარი, მიწის გადასახადი - 557.7 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 10.5 ათასი ლარი.

გრანტების სახით მიღებულია 8260.0 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 953,0 ათასი ლარი; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 7292.1 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი 0.6 ათასი ლარი, უცხო სახელმწიფოთა მთავრობიდან მიღებული 14.3 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 2632.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 2554.6 ათასი ლარის 103% მათ შორის: წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 5.8 ათასი ლარი და შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 56.5 ათასი ლარი.

დასახელება	ათასი ლარი			
	2024 წელი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	28801.7	28866.7	+65.0	100,2
გადასახადები	17607.6	17974.6	+367.0	102.1
გრანტები	8639.5	8260.0	-379.5	95.6
სხვა შემოსავლები	2554.6	2632.1	+7.5	103

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2024 წელს მობილიზებული იქნა 1036.5 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (899.3 ათასი ლარის) 115.3%-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 76.0 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 960.5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 2.9% შეადგენს.

2024 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 5305.5 ათასი ლარი, ხოლო 2024 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 3711.1 ათასი ლარი, საიდანაც 2024 წლის გადასახდელების დაფარვისათვის მიმართული იქნა 3701.8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები 31412.2 ათასი ლარის ოდენობით ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად დაიხარჯა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 5624.1 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა – 6020.5 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა – 2960.8 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 8937.8 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა – 172.0 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა, სპორტი და რელიგია – 2706.4 ათასი ლარი;
- ✓ განათლება – 2489.6 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა – 2501.0 ათასი ლარი.

**დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტორა
ფუნქციონალურ ჭრილში (ათას ლარებში)**

დასახელება	2024 წელი	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5624.1	17.9
თავდაცვა	0	0
საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	0	0
ეკონომიკური საქმიანობა	6020.5	19.2
გარემოს დაცვა	2960.8	9.4
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	8937.8	28.5
ჯანმრთელობის დაცვა	172.0	0,5
დასვენება და კულტურა	2706.4	8.6
განათლება	2489.6	7.9
სოციალური დაცვა	2501.0	8
სულ ხარჯები	31412.2	100

2024 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 31412.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (34775.9 ათასი ლარი) 90.3% -ია, მათ შორის:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა დაფინანსებულია- 6020.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (7661.0 ათასი ლარი) 78.6%-ია;
- ✓ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება დაფინანსებულია - 8937.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (10308.2 ათასი ლარი) 86.7%-ია;
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა დაფინანსებულია 2960.8 ათასი ლარი,რაც გეგმის (2982.0 ათასი ლარი) 99,3%-ია.
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 2673.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (2696.3 ათასი ლარი) 99.1%-ია;
- ✓ განათლება - 2489.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (2573.0 ათასი ლარი) 96,7%-ია,(მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 9 საბავშვო ბაღი და ირიცხება საშუალოდ 360-მდე აღსაზრდელი),ხოლო საგანმანათლებლო ცენტრში კურსები გაიარა 108 ბენეფიციარმა მათ შორის 47 ქალმა, 61 კაცმა.
- ✓ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 2706.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (2771.9 ათასი ლარი) 97,6%-ია, კულტურისა და ხელოვნების ცენტრში არსებულ სხვადასხვა წრეებში დადის 290-მდე მოსწავლე,ხოლო სპორტის 12 სახეობაში 205 მოსწავლე და სამუსიკო სკოლაში სწავლობს 62 მოსწავლე აქედან 55 გოგონა , 7ვაჟი.
- ✓ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 5624.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (5783.3 ათასი ლარი) 97.2%-ია.

2024 წელს ინფრასტრუქტურის მიმართულებით ფაქტიურად შესრულებულია ისეთი პროექტები როგორცაა:

- 1.სოფელ ბაზაქლოში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა 225478 ლარის სამუშაო.
- 2.ქ.დმანისში 9 აპრილის ქ.N167 მდებარე სერვისჯგუფის შენობის მოწყობა 225997 ლარის.
- 3 ქ.დმანისში აღმაშენებლის ქუჩის მოასფალტება და ჭუბერის N3 ჩიხში გზებზე რიცხული სანიაღვრე არხის მოწყობა 400000 ლარი.
- 4.ქ.დმანისში ვახტანგ გორგასლის ქუჩის და სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 793 701 ლარი.
- 5.სოფელ ვაკეში შიდა გზის რეაბილიტაცია 393683 ლარი.

6. სოფელ მაშავერაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 1 349 400 ლარი.
7. დმანისის მუნიციპალიტეტის ამამლო-ირგანჩაის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 1 037 497 ლარი.
8. სოფელ გომარეთში ძველი სასაფლაოების ღობეების მოწყობა - 134814 ლარი.
9. ქ. დმანისში სიონის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია - 279524 ლარი.
10. ქ. დმანისში ქეთევან წამებულის ქუჩაზე მედიათეკასთან სამანქანე გზის მოწყობა - 185273 ლარი.
11. ქ. დმანისში კოსტავას ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია - 686877 ლარი.
12. ქ. დმანისში კოსტავას ქუჩაზე გზებზე რიცხული სანიაღვრე არხებისათვის ლითონის ცხაურების მოწყობა - 89460 ლარი
13. ქ. დმანისში ჭავჭავაძის ქუჩაზე გზის და გზებზე რიცხული სანიაღვრე არხების მოწყობა - 190046 ლარი.
14. ქ. დმანისში 9 აპრილის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია - 1 000 000 ლარი.
15. ქ. დმანისში გორგასლის ქუჩა N 17 - ში მდებარე შენობის სახურავის რეაბილიტაცია - 148924 ლარი.
16. ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩა N5-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაცია - 93246 ლარი.
17. ქ. დმანისში წმინდანინოს ჩიხი N3 -ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია - 96298 ლარი
18. ქ. დმანისში ვახტანგ გორგასლის N10 - ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია - 84593 ლარი.
19. ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩა N11 -ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია - 93375 ლარი.
20. ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩა N13 -ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია - 102963 ლარი.
21. ქ. დმანისში 9 აპრილის ქუჩა N34-ში მდებარე ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია - 128526 ლარი.
22. სოფელ კამარლოს საბავშვო ბაღის ეზოს რეაბილიტაცია - 83385 ლარი.
23. სოფელ გოდაგდაგში რიტუალების სახლის კაპიტალური რემონტი - 44611 ლარი.
24. ქ. დმანისში პოლიციის შენობის მიმდებარედ საპარკინგე სივრცის მოწყობა - 40326 ლარი
25. სოფელ განთიადში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია - 497560 ლარი.
26. სოფელ კიზილაჯლოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - 109489 ლარი
27. სოფელ ქციაში გზების მოწყობის სამუშაოები - 34383 ლარი.
28. ქ. დმანისში შიდა გზების და მასზე რიცხული სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია - 65027 ლარი.
29. დმანისის მუნიციპალიტეტის საზღვრის აღმნიშვნელი რეკონსტრუქციის რეაბილიტაცია - 59310 .
30. სოფელ ირგანჩაიში ადმინისტრაციული შენობის, სამედიცინო ამბულატორიის და სარიტუალო დარბაზის მოწყობა - 283199 ლარი.
31. სოფელ ზემო ოროზმანში სკვერის მოწყობა - 183090 ლარი
32. დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობის რეაბილიტაცია - 99052 ლარი
33. სოფელ გომარეთის კულტურის ცენტრის მშენებლობა - 642533 ლარი
34. სოფელ გომარეთში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები - 256788 ლარი.
35. სოფელ მამიშლოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა - 470413 ლარი.
36. ქ. დმანისში ცურტაველის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია - 138719 ლარი.
37. ქ. დმანისში ვახტანგ გორგასლის N6-ში მდებარე შენობის სახურავის რეაბილიტაცია - 156548 ლარი.
38. სოფელ ველისპირში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია - 99334 ლარი

39. სოფელ ირგანჩაის გზაზე რიცხული გზის საყრდენი კედლის მოწყობა, სოფელ ბაზაქლოში, სოფელ ოროზმანში და ლოჭანდარში ხიდების რეაბილიტაცია -920 000 ლარი.

აღნიშნული პროექტებიდან ფაქტიური შესრულების ოდენობა შეადგენს 9 659,8 ათას ლარს.

2024 წელს ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური ახორციელებდა შემდეგ პროგრამებს, რაზეც დაიხარჯა:

1. ერთჯერადი ფინანსური დახმარების მუნიციპალური პროგრამაზე გაიხარჯა 530000 ლარი, დახმარება გაიცა 2640 ბენეფიციარზე;
2. დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარების მუნიციპალური ქვეპროგრამაზე გაიხარჯა 33200 ლარი, სარგებლობდა 18 ბენეფიციარი ყოველ თვე 200 ლარის ოდენობით;
3. ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარების მუნიციპალური პროგრამაზე გაიხარჯა 12000 ლარი. ისარგებლა 5 - მა ბენეფიციარმა.
4. მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება მუნიციპალური პროგრამაზე გაიხარჯა 72500 ლარი, ისარგებლა 48 - მმა ბენეფიციარმა .
5. მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების ქვეპროგრამაზე გაიხარჯა 6800 ლარი, დახმარება გაიცა 27 ოჯახზე 250 ლარის ოდენობით
6. „18 წელს გადაცილებული შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა პირთა დახმარების ქვეპროგრამა 23300 ლარი ისარგებლა 151 ბენეფიციარმა..
7. მარჩენალ დაკარგული, დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარების ქვეპროგრამაში 14900 ლარი, ისარგებლა 97 ბენეფიციარმა.
8. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამაში ჩართული 0-დან 18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა 10500 ლარი.
9. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა 8900 ლარი, ისარგებლა 3 ბენეფიციარმა.
10. ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის, დღის ცენტრისა და ადრეული განვითარების ცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შშმ ბავშვებისათვის სოციალური დახმარების ქვეპროგრამა 26600 ლარი, ისარგებლა 16 ბენეფიციარმა.
11. მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში 8200 ლარი, ისარგებლა 13 ბენეფიციარმა.
12. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობი შეშით ან ბიოსაწვავი „ბრიკეტით“) უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი - 63100 ლარი, ისარგებლა 200 - ოჯახის პროგრამით მოსარგებლე პირმა;
13. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული დახმარების, ფიზიკური თერაპიისა და რეაბილიტაციის მუნიციპალური ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 763600 ლარი, ისარგებლა 924 - მა ბენეფიციარმა.
14. აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების პროგრამის ბიუჯეტი - 4400 ლარი, ისარგებლა 2 - მმა ბენეფიციარმა
15. მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის მუნიციპალური ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებში გაიხარჯა 149400 ლარი, ისარგებლა 807 - მა ბენეფიციარმა.
16. ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამაზე გაიხარჯა 256000 ლარი, ისარგებლა დაახლოებით 1200 - მდე პროპგრამით მოსარგებლე პირმა.
17. მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებები გაიცა 239300 ლარი.
18. ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამაში 30000 ლარი, ისარგებლა 60 ბენეფიციარმა.
19. ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამაში 20000 ლარი, ისარგებლა 18-მა ბენეფიციარმა.

2024 წელს დმანისში ფუნქციონირებდა ააიპ „დმანისის სათნოების სახლი“ 95 ბენეფიციართ (2023 წელთან შედარებით ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია 12 ერთეულით) და ფაქტიურად დაფინანსებულია - 227000 ლარის ოდენობით.

▪ სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიმართულ იქნა 67900 ლარი, ხოლო წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებები და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდში 97300 ლარი.

2025 წლის ბიუჯეტის 6 თვის მაჩვენებლები.

მუნიციპალიტეტის 2025 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 34128,3 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2025 წლის 6 თვის მონაცემებით მობილიზებულია 12999,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (ათასი ლარი) 48,7%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 6 თვეში შეადგინა 10518,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (17197,6 ათასი ლარი) 52 %-ია;

გრანტების სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხულია 961,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (ათასი ლარი) 37,6 %-ია, აქედან: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად -568,9 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით - 186,8 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან -206,1 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1518,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (ათასი ლარი) 56,1%-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 102,1 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 1259,7 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 54,4 ათასი ლარი, ნებაყოფლობითი ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 10,4 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) -92,2 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულია 539,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (527,0 ათასი ლარი) 102,3 %-ია, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 356,0 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 183,1 ათასი ლარი.

2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 3711,1 ათასი ლარი, ხოლო 6 თვეში ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ოდენობამ შეადგინა 5417,2 ათასი ლარი, ანუ ნაშთი გაიზარდა 1706,1 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია გადასახდელების დაბალი შესრულების პროცენტის შედეგად.

დმანისის ბიუჯეტის 2024–2025 წლის 6 თვის შემოსულობების შედარების შესახებ (ათას ლარებში)			
	2024 წლის 6 თვე	2025 წლის 6 თვე	გადახრა +/-
გადასახადები	8957,8	10518,8	+1561,0
ქონების გადასახადი	1484,0	1604,0	+120,0
სხვა გადასახადები	7473,8	8914,8	+1441,0
გრანტები	2498,3	961,7	-1536,6
სხვა შემოსავლები	1353,4	1518,7	+165,3
შემოსავლები საკუთრებიდან	1205,3	1361,8	+156,5

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	34,1	54,4	+20,3
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	83,9	92,2	+8,3
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	30,1	10,4	-19,7
არაფინანსური აქტივების კლება	368,0	539,1	+171,1
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	3,0	356,0	+353,0
შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	365,0	183,1	-181,9
ფინანსური აქტივების კლება	5305,5	3711,1	- 1594,4
სულ შემოსულობების ჯამი	18483,0	17249,5	-1233,5

2025 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 6 თვის განმავლობაში გადასახდელებში მიმართულ იქნა 11832,2 ათასი ლარი (წლიური გეგმის 34128,3 ათასი ლარის 34,7%-ი). მათ შორის:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა -983,6 ათასი ლარით;
- ✓ სასამელო წყლის სისტემების განვითარებაზე-227,6 ათასი ლარი.
- ✓ გარე განათების რეაბილიტაციაზე-341,8 ათასი ლარი.
- ✓ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება -678,6 ათასი ლარით;
- ✓ კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსებაზე-352,1 ათასი ლარი.
- ✓ სოფლის მხარდაჭერის პროგრამების ღონისძიებებზე- 196,1 ათასი ლარი.
- ✓ საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვაზე- 146,2 ათასი ლარი.
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვაზე-1353,7 ათასი ლარი.
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 1623,3 ათასი ლარით;
- ✓ განათლება – 1444,2 ათასი ლარით;
- ✓ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 1640,0 ათასი ლარით;
- ✓ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები – 2845,0 ათასი ლარით.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების ბიუჯეტის გადასახდელების შედარება ფუნქციონალურ კრილში (ათას ლარებში)						
დასახელება	2024 წელი-6 თვე		2025წელი -6თვე		გადახრა + -	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2701,0	20	2845,1	24	+144,1	

თავდაცვა	0	0	0	0	0	
საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	0	0	0		0	
ეკონომიკური საქმიანობა	2532,4	18,8	983,6	8,3	-1548,8	
გარემოს დაცვა	1554,5	11,5	1353,7	11,5	-200,8	
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2598,3	19,3	1942,4	16,4	-655,9	
ჯანმრთელობის დაცვა	64,2	0,5	79,9	0,7	+15,7	
დასვენება და კულტურა	1460,6	10,8	1640,0	13,9	+179,4	
განათლება	1352,4	10	1444,2	12,2	+91,8	
სოციალური დაცვა	1223,7	9,1	1543,3	13	+319,6	
სულ ხარჯები	13487,1	100.0	11832,2	100.0	-1654,9	

▪ 2025 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაგეგმილია 7298,0 ათასი ლარი,მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხა გარდამავალი პროექტების 1362,8 ათას ლარს და მიმდინარე წლის შეადგენს 4105,6 ათას ლარს,რასაც ემატება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები თანადაფინანსების სახით გარდამავალი ნაშთიდან 235,1 ათასი ლარი და მიმდინარე წლის პროექტებს 216,2 ათასი ლარი. გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ცენტრალური და შიდაკვარტალური გზების მდგომარეობა; აღნიშნული თანხების ფარგლებში განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი შემდეგი პროექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია:

- ქ.დმანისში ვახტანგ გორგასლის ქუჩის და სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 943 გრძივი მეტრის.თანხით 155,6 ათასი ლარი.+
 - ფონიჭალა -მარნეული- გუგუთის საავტომობილო გზიდან სოფელ მაშავერაში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 1764 გრძივი მეტრის შეკეთება.თანხით 249,0 ათასი ლარი.+
 - ქ.დმანისში აღმაშენებლის ქუჩის მოასფალტების და ჭუბერის N3 ჩიხში გზებზე რიცხული სანიაღვრე არხის 450 გრძივი მეტრის რეაბილიტაციაზე 808,1 ათასი ლარი.+
 - ქ.დმანისში ჭუბერის ქუჩის რეაბილიტაცია 418,0 ათასი ლარი.+
 - ქ.დმანისში 9 აპრილის ქუჩის 2500 მეტრის რეაბილიტაცია თანხით 886,8 ათასი ლარი.+
 - ქ.დმანისში ხერგიანის ქუჩის რეაბილიტაცია 226,6 ათასი ლარი.+
 - ქ.დმანისში ნანა დედოფლის ქუჩის რეაბილიტაცია 304,0ათასი ლარი.+

▪ დმანისის მუნიციპალიტეტის ამამლო-ირგანჩაის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია თანხით 930,8 ათასი ლარი.+

▪ ქ.დმანისში ცურტაველის ქუჩაზე გზის რეაბილიტაციაზე 464,4 ათასი ლარი.+
ქ.დმანისში გოგებაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია 340,4 ათასი ლარი.+

▪ ქ.დმანისში გამსახურდიას ქუჩის რეაბილიტაცია 523,8 ათასი ლარი.+

▪ ქ.დმანისში კოსტავას ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია თანხით 686.9 ათასი ლარი.

▪ სოფელ პანტიანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 335,0 ათასი ლარი.+

▪ სოფელ მაშავერაში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციომ სამუშაოებიდან 12,0 ათასი ლარი, 2,5%.

საკუთარი სახსრებიდან გათვალისწინებულია:

სოფელ გომარეთის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციაზე 245,0 ათასი ლარი.

ქ.დმანისში 26 მაისისა და გორგასლის ქუჩების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციაზე 235,5 ათასი ლარი.

ქ.დმანისში ცურტაველის ქუჩაზე არსებული ეკლექსიის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 108,5 ათასი ლარი.

სოფელ გუგუთში ერთერთ ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა 17,5 ათასი ლარი.

წყლის სისტემების გაუმჯობესება, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნივ ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის ხარისხიანი სასმელი წყლის მიწოდება რისთვისაც გათვალისწინებულია 532,9 ათასი ლარი, მათ შორის 532,9 ათასი ლარი გრანტის სახით გადაეცემა მუნიციპალური განვითარების ფონდს დმანისის მუნიციპალიტეტში შემავალი 19 სოფლის და ქ.დმანისში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის და სათავე ნაგებობების მშენებლობისათვის 15 %-ანი თანადაფინანსებით.

▪ საკუთარი სახსრებიდან გათვალისწინებულია სოფელ კიზილაჯლოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 109,5 ათასი ლარი.

▪ სოფელ გომარეთში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების 113,9 ათასი ლარი.

▪ სოფელ ველისპირში წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია 74,7 ათასი ლარი.

▪ სოფელ ქვ.კარაბულახში წყლის სატუმბო სადგურის შენობაში ბუსტერული ძრავების მოწყობა 39,0 ათასი ლარი.

▪ სოფელ ქვემო კარაბულაში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციიდან 12,3 ათასი ლარი, 2,5%

გარდა აღნიშნულისა საკუთარი შემოსავლებიდან დაგეგმილია ბინათმშენებლობის და ავარიული შენობების გამაგრება-რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 2465,5 ათასი ლარი (გრძელდება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია);

▪ განთიადის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციაზე 304,1 ათასი ლარი.

▪ სოფელ გომარეთის კულტურის ცენტრის მშენებლობა 321,7 ათასი ლარი,

▪ ქ.დმანისში N1 საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია 52,7 ათასი ლარი.

▪ სოფელ ზემო კარაბულახში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია 262,2 ათასი ლარი.

▪ ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია 36,5 ათასი ლარი.

▪ ქ.დმანისში წმ.ნინოს ქუჩა N56-ში მდებარე და 26 მაისის ქუჩაზე არსებული არასაცხოვრებელი შენობის რეაბილიტაცია 324,6 ათასი ლარი.

▪ ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია -168,4 ათასი ლარი.

▪ ასევე გათვალისწინებულია ავარიული შენობების სახურავების რეაბილიტაცია (საკუთარი სახლების) 995,3 ათასი ლარი სხვა ხარჯების მუხლიდან.

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაციაზე გათვალისწინებულია 1603,4 ათასი ლარი, რომლის საშუალებით განხორციელდება შემდეგ პროექტები:

- სოფელ ზემო ოროზმანის სკვერის მოწყობაზე 183,3 ათასი ლარი,
- ქ.დმანისში წმ.ნინოს ქუჩაზე სკვერისა და შადრევნის რეაბილიტაციის 47,8 ათასი ლარი 2,5%
- სოფ.ტნუსში მინი სტადიონის რეაბილიტაცია 2,0 ათასი ლარი, 2,5%.
- ლუკუმის მთაზე საპიკნიკე სივრცის მოწყობა 1,4 ათასი ლარი, 2,5%.
- სოფ.დიდი დმანისში გადასახედი კანიონზე ნაგებობის მოწყობა 1,7 ათასი ლარი, 2,5%.
- სოფ.განთიადის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია 1,5 ათასი ლარი, 2,5%.
- ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია 2,9 ათასი ლარი, 2,5%.
- ქ.დმანისში ჭუბერის 3-ე ჩიხში N4ა სკვერის და სპორტული მოედნის რეაბილიტაციიდან 9,1 ათასი ლარი 2,5%

▪ ქ.დმანისში კოსტავას ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს შემოღობვა 119,9 ათასი ლარი. სოფ. ზემო ოროზმანში ტრენაჟორების მოწყობა და სოფ. ქვემო ოროზმანში სპორტული მოედნის მოწყობა 447,8 ათასი ლარი.

- სოფ. დაგარახლოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა 409,8 ათასი ლარი.
- სოფ. განთიადში ეკლესიის მიმდებარედ ღობის მოწყობა 59,0 ათასი ლარი.
- სოფ. შინდლარში მინი სტადიონის მოწყობა 117,1 ათასი ლარი.
- სოფ. კამარლოში მინი სტადიონის მშენებლობა 189,4 ათასი ლარი.
- სოფელ გომარეთში ძველი სასაფლაოების ღობეების მოწყობა 10,7 ათასი ლარი, 2,5% სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიიმართება 65,6 ათასი ლარი.

▪ გარე განათების კაპიტალურ დაბანდებებზე გათვალისწინებულია 150,3 ათასი ლარი, ხოლო გახარჯული ელექტრო ენერჯიის დაფარვისათვის 580,0 ათასი ლარი. აქედან კაპიტალურ დაბანდებებიდან გათვალისწინებულია დმანისის სიონის მისასვლელი გზისა და ციტადელის განათების მოწყობა 100,3 ათასი ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2025 წელს გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად თანადაფინანსების გათვალისწინებით გამოყოფილია 1200,0 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 686,0 ათასი ლარი, ასევე გარდამავალი ნაშთიდან მიმართული იქნა 2024 წელს დაწყებული პროექტების დასრულებისათვის 174,1 ათასი ლარი, საიდანაც 6 თვეში დაფინანსებულია 196,1 ათასი ლარი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და საზედამხედველო მომსახურებისათვის გათვალისწინებულია 554,3 ათასი ლარი, ფაქტიურად დაფინანსებულია 146,2 ათასი ლარი.

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან 2026-2029 წლების პერიოდში.

თვითმმართველი ერთეული დმანისის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

რუსეთის ფედერაციის უკრაინაში განხორციელებულმა შეჭრამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია. გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად დმანისის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდბოდ ადმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები. ამის გათვალისწინებით,

მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2026-2029 წლებში დმანისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

დმანისის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით დმანისის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართვლობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელება და შექმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2025 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2026–2029 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში

გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;
- ❖ ინფრასტრუქტურა;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

2026-2029 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით					
პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2026 წელი	2027 წელი	2028წელი	2029 წელი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება	8017,1	7391,2	7860.2	7890.2
	მ.შ. რიცხოვნობა	160	160	160	160
	მ.შ. ახალი ინიციატივები	30			
02 00	ინფრასტრუქტურა	6790,1	8596.4	10611.0	12817.3
	მ.შ. რიცხოვნობა				
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2894,0	2485,0	2485,0	2455,0
	მ.შ. რიცხოვნობა	109-	109	109	109
	მ.შ. ახალი ინიციატივები	9			
04 00	განათლება	2621,4	3238,3	3238,3	3238,3
	მ.შ. რიცხოვნობა	144	144	144	144
	მ.შ. ახალი ინიციატივები	40			
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4113,4	4038,7	4038,7	4048,7
	მ.შ. რიცხოვნობა	212	212	212	212
	მ.შ. ახალი ინიციატივები	50			

06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3330,5	3253,7	3253,7	3253,7
	მ.შ. რიცხოვნობა	27	27	27	27
	მ.შ. ახალი ინიციატივები	8			
07 00					
	მ.შ. რიცხოვნობა				
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
08 00					
	მ.შ. რიცხოვნობა				
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
სულ ჯამი		27766,5	29431.3	31486.9	33703.2
მ.შ. რიცხოვნობა		652	652	652	652
მ.შ. ახალი ინიციატივები		137			

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამული ბიუჯეტირების იერარქია - ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.

პროგრამის განმახორციელებელი - მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა:

მიუხედავად იმისა, რომ უკანსკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს

კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. პროგრამა ითვალისწინებს : გზების ქვიშა-ხრემოვანი მასალით მოწყობა; ქუჩების ტროტულების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება; გზებზე ასფალტ/ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ბზარების დამუშავება;

პროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია, ქალაქში და მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში გამავალი გზების რეაბილიტაცია, რაც ქალაქისა და სოფლის გზებზე ავტოტრანსპორტის უფრო კომფორტულად გადაადგილებას უზრუნველყოფს და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

საბოლოო შედეგები:

- მოდერნიზირებული, რეაბილიტირებული და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა;
- მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი სატრანსპორტო მიმოსვლა და საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა;
- შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული გზები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა.

სამუშაოების დასახელება	გაზომვის ერთეული	პროგრამის დასახელება	სამშენებლო ღირებულება	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი
ზღვრული მოცულობების ფარგლებში	ქ.დმანისში 9 აპრილის ქუჩის, 9 აპრილის ჩიხის და ვახტანგ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია	სიგრძე 2500 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	63553	63553		
	დმანისის მუნიციპალიტეტის ამამლო-ირგანჩაის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია კვ 50+00--90+00	სიგრძე 4000 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	92908	92908		
	ქ. დმანისში გამსახურდიას ქუჩის რეაბილიტაცია	სიგრძე 120 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4558	4558		
	სოფ.პანტიანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	სიგრძე 4000 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	76429	35000	41429	
	ქ. დმანისი ვახტანგ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია	სიგრძე 470 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	312116	312116		

ქ. დმანისი შოთა რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია	სიგრძე 610 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	808907	808907			
ქ. დმანისი გაბაშვილი ქუჩის რეაბილიტაცია	სიგრძე 320 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	505398	505398			
დმანისის მუნიციპალიტეტში ტურისტული მაჩვენებლების მოწყობა	50 ც	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	100000	100000			
ქ. დმანისში 26 მაისის ქუჩის რეაბილიტაცია	სიგრძე 900 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	34667		34667		
ქ. დმანისში წმინდა ნინოს ჩიხის რეაბილიტაცია	სიგრძე 300 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	20000		20000		
ქ. დმანისში სააკაძის ქუჩის რეაბილიტაცია	სიგრძე 1112 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	50419		50419		
სოფ. ჯავახის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	1172 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	121340		60670	60670	
ქვემო ოროზმანი-ზემო ოროზმანი-მთისძირის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	3552 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1850400		1800000	50400	
სოფ. ბოსლების მისასვლელი გზის რეაბილიტაციის	3660 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	206768		103384	103384	
სოფ. ქვემო კარაბულახის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	სიგრძე 400 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2150000		50000	2100000	

	სოფ. დალარის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	1660 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1793011			1793011	
	სოფ ბაზაქლოს მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	2000 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1032791			1032791	
	სოფ.პანტიანის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი)	2000 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	776986			689753	87233
	სოფ. ტნუსის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	880მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	41461				41461
	სოფ კამარლოდან დაგარახლო-იფნარი-კიზლაჯლოს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	2500 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1115781			1032791	82990
	ცოტნე დადიანის და გოგებაშვილის ქუჩების რეაბილიტაცია	620 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	100000				1000000
ზღვრული მოცულობების ფარგლებში	ქ. დმანისი თევდორე მღვდლის ქუჩის რეაბილიტაცია	340 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	513903				513903
	სოფ გომარეთის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია სარეაბილიტაციო სამუშაოები-პკ1+20-პკ10+90	970 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	658583				658583
	ქ. დმანისში სიონის ჩიხების რეაბილიტაცია	800 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	385176				385176

ზღვრული მოცულობების ფარგლებში	მუსხელიძვილის ქუჩის რეაბილიტაცია	400 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	500000				500000
	კამარლო-შახმარლოს მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	1500 მ	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2778117				2778117

2.2. სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია.(პროგრამული კოდი 02 02 02)

პროგრამული ბიუჯეტების იერარქია - ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.

პროგრამის განმახორციელებელი - მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.

პროგრამის აღწერა:

მიუხედავად იმისა, რომ უკანსკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები სასმელი წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. **სოფლებს, რომლებსაც არ ემსახურება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, აუცილებელია რეაბილიტაცია/მშენებლობა ჩაუტარდეს სასმელი წყლის ქსელებს, რეზერვუარებს, მაგისტრარულ მილებს, კაპტაჟებს/ჭაბურღილებს. პროგრამა ითვალისწინებს : სასმელი წყლის ქსელების, რეზერვუარების, მაგისტრარულ მილების, კაპტაჟების/ჭაბურღილების მშენებლობა რეაბილიტაციას.**

პროგრამის მიზანი :

პროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ჰქონდეს სასმელად ვარგისი სასმელი წყალი.

საბოლოო შედეგები:

მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი ეტაპობრივადაა უზრუნველყოფილი სასმელი წყლით

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული სასმელი წყლის სისტემები.

ლარი

სამუშაოების დასახელება		თანადავ ინანსება პროექტის(15%)	პროგრამის დასახელება	სამშენებლო ღირებულება	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი
ზღვრული მოცულობების ფარგლებში	ქ.დმანისის და 22 სოფლის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის,მაგისტრარული მილსადენის და სათავე ნაგებობების მშენებლობა.	1ც	სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია	155 300	155 300	0	0	0

2.2.3. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია.(პროგრამული კოდი 02 03)

პრიორიტეტის და პროგრამის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	ინფრასტრუქტურის განვითარება.(პროგრამული კოდი 02 03) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 02 03)							
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია.(პროგრამული კოდი 02 03)							
ქვეპროგრამული ბიუჯეტირების იერარქია	ინფრასტრუქტურული/კაპიტალური; მრავალწლიანი.							
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური; მერიის ეკონომიკის სამსახური;							
მოსალოდნელი შუალედური შედეგი, ასიგნებების ზღვრული მოცულობის პირობებში

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სასოფლო - სამეურნეო ტექნიკით მხარდაჭერა სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის სფეროში

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, დამატებითი დაფინანსების პირობებში

ქვეპროგრამის განხორციელების ვადები: მუდმივი

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები⁵:

№	დასახელება	2026 წელი		2027 წელი		2028 წელი		2029 წელი	
		ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება						
1.	საბაზისო მაჩვენებელი ⁶	120 ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარი; მოხსულია 125 ჰა მიწის ფართობი							
	მიზნობრივი მაჩვენებელი	180 ბენეფიციარი 125 ჰა		200 ბენეფიციარი 140 ჰა		220 ბენეფიციარი 145 ჰა		250 ბენეფიციარი 160 ჰა	
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	15 ბენეფიციარი 10 ჰა		15 ბენეფიციარი 10 ჰა		20 ბენეფიციარი 10 ჰა		30 ბენეფიციარი 10 ჰა	
	შესაძლო რისკები	სამუშაოების დროულად ვერ განხორციელდება განსაკუთრებულ სიტუაციაში (კლიმატური პირობები)		სამუშაოების დროულად ვერ განხორციელდება განსაკუთრებულ სიტუაციაში (კლიმატური პირობები)		სამუშაოების დროულად ვერ განხორციელდება განსაკუთრებულ სიტუაციაში (კლიმატური პირობები)		სამუშაოების დროულად ვერ განხორციელდება განსაკუთრებულ სიტუაციაში (კლიმატური პირობები)	
2.	საბაზისო მაჩვენებელი ⁶								
	მიზნობრივი მაჩვენებელი								
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)								
	შესაძლო რისკები								

1.5 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

სასმელი წყლის სისტემის მოვლა პატრონობა, პროგრამული კოდი - 03 01 01 05

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური

ააიპ დმანისის სერვის ჯგუფი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემის მოვლა პატრონობა და მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემების დროული აღმოფხვრა.

ქვეპროგრამა წარმოადგენს არსებული პოლიტიკის თუ ახალი პოლიტიკის ნაწილს არსებული

დაფინანსების წყარო

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, ასიგნებების ზღვრული მოცულობის პირობებში

უზრუნველყოფილია სასმელი წყლის სისტემის ხარისხი და მოსახლეობისათვის დროული მიწოდება

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, დამატებითი დაფინანსების პირობებში

ქვეპროგრამის განხორციელების ვადები: მუდმივი

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები⁵:

№	დასახელება	2026 წელი		2027 წელი		2028 წელი		2029 წელი	
		ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება
1.	საბაზისო მაჩვენებელი ⁶	450 დაზიანებული წერტილის აღმოფხვრა (ურდულების, ფიტინგების, ლითონის, პოლიეთილენი მილების და სხვა კომპონენტები)							
	მიზნობრივი მაჩვენებელი	500 დაზიანებული წერტილის შეკეთება		550 დაზიანებული წერტილის შეკეთება		600 დაზიანებული წერტილის შეკეთება		650 დაზიანებული წერტილის შეკეთება	

	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)								
	შესაძლო რისკები	კლიმატური პირობები, დაზიანებული ფართობის მასშტაბი							
2.	საბაზისო მაჩვენებელი ⁶								
	მიზნობრივი მაჩვენებელი								
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)								
	შესაძლო რისკები								

1.6 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

ქალაქ ღმანისში და სოფლებში არსებული შიდა გზების მოვლა შეკეთება, ზამთრის პერიოდში მოყინული გზებისა და ტროტუარების ტექნიკური მარილით დამუშავება და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

პროგრამული კოდი - 03 01 01 07

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური

ააიპ ღმანისის სერვის ჯგუფი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ღმანისში და სოფლებში არსებული შიდა გზების მოვლა შეკეთება, სეზონზე თოვლის საფარისაგან გაწმენდა და ქვიშა მარილის შეტანა, პრევენციული ღონისძიებების გატარება, რაც ქალაქისა და სოფლის გზებზე ავტოტრანსპორტის უფრო კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს. ასევე ხელს შეუწყობს მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელსაყრელი სატრანსპორტო მიმოსვლას.

ქვეპროგრამა წარმოადგენს არსებული პოლიტიკის თუ ახალი პოლიტიკის ნაწილს
ახალი

დაფინანსების წყარო

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, ასიგნებების ზღვრული მოცულობის პირობებში
გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი, დამატებითი დაფინანსების პირობებში

ქვეპროგრამის განხორციელების ვადები: მუდმივი

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები⁵:

№	დასახელება	2026 წელი		2027 წელი		2028 წელი		2029 წელი	
		ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება
1.	საბაზისო მაჩვენებელი ⁶								
	მიზნობრივი მაჩვენებელი	2500 კვ.მ გზის საფარის ორმოული შეკეთება		2600 კვ.მ გზის საფარის ორმოული შეკეთება		2600 კვ.მ გზის საფარის ორმოული შეკეთება		2600 კვ.მ გზის საფარის ორმოული შეკეთება	
		100 ტონა ქვიშა მარილის ნარევის დაყრა		100 ტონა ქვიშა მარილის ნარევის დაყრა		100 ტონა ქვიშა მარილის ნარევის დაყრა		100 ტონა ქვიშა მარილის ნარევის დაყრა	
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	300 კვ.მ; 30 ტონა ქვიშა-მარილი		300 კვ.მ; 30 ტონა ქვიშა-მარილი		320 კვ.მ; 30 ტონა ქვიშა-მარილი		350 კვ.მ; 30 ტონა ტექნიკური მარილი	
	შესაძლო რისკები	ბუნებრივი კატასტროფა: - ღვარცოფი, წყალდიდობა, უხვი ნალექი		ბუნებრივი კატასტროფა: - ღვარცოფი, წყალდიდობა, უხვი ნალექი		ბუნებრივი კატასტროფა: - ღვარცოფი, წყალდიდობა, უხვი		ბუნებრივი კატასტროფა: - ღვარცოფი, წყალდიდობა, უხვი ნალექი	

						ნაღვესი			
2.	საბაზისო მაჩვენებელი ⁶								
	მიზნობრივი მაჩვენებელი								
	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)								
	შესაძლო რისკები								

2026-2029 წლების საშუალოვადიანი ბიუჯეტი

აიპ „დმანისის სერვის ჯგუფი“

(დასახელება)

ათასი ლარი

პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ ღონისძიებების დასახელება		მთლიანად მიმართული სახსრები (ათას ლარებში)									
		სულ		2026 წელი		2027 წელი		2028 წელი		2029 წელი	
დასახელება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	ზღვრული მოცულობის ფარგლებში	გაზრდილი დაფინანსება	
ინფორმაცია არსებული (საბაზისო)პოლიტიკის ფარგლებში:											
03 00	პრიორიტეტი სულ										
	დასუფთავება და ნარჩენების მართვა (03 01)	9707,0		2432,0		2425,0		2425,0		2425,0	
	დასუფთავება და ნარჩენების გატანა ა(ა)იპ დმანისის მუნიციპალიტეტის სერვის ჯგუფი" (03 01 01)	9707,0		2432,0		2425,0		2425,0		2425,0	

	დასუფთავება და ნარჩენების გატანა (03 01 01 01)	6208,0		1552,0		1552,0		1552,0		1552,0	
	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განაშენიანება (03 01 01 02)	786,8		199,7		195,7		195,7		195,7	
	ქვეპროგრამა გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (03 01 01 03)	1228,4		307,1		307,1		307,1		307,1	
	პროგრამა დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა (03 01 01 04)	272,0		68,0		68,0		68,0		68,0	
	ქვეპროგრამა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემის მოვლა პატრონობა (03 01 01 05)	476,2		121,3		118,3		118,3		118,3	
	ქალაქ დმანისში და სოფლებში არსებული შიდა გზების მოვლა შეკეთება, ზამთრის პერიოდში მოყინული გზებისა და ტროტუარების ტექნიკური მარლით დამუშავება და პრევენციული ღონისძიებების გატარება (03 01 01 07)	735,6		183,9		183,9		183,9		183,9	

1. განათლება (0400)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს რომლის ფარგლებშიც ყოველ წლებში ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დასახელება		2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი
04 00	განათლება	2621.4	3238,3	3238,3	3238,3
04 01	სკოლამდელი აღზრდა	2369,0	3000,0	3000,0	3000,0
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება	2369,0	3000,0	3000,0	3000,0
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია	0,0			
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	247.4	220,0	220,0	220,0
04 02 01	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	232.2	220,0	220,0	220,0
04 02 02	პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა	15,2	18,3	18,3	18,3
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	5.0	0	0	0
04 03 01	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა	5.0	0	0	0
04 03 02	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	5.0	0	0	0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
	040101		2 369.0	11369,0
პროგრამის განმახორციელები	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური			
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>მიზანი: ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p> <p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. დმანისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის დაფინანსება. დღეის მდგომარეობით სკოლამდელი აღზრდის სამსახურში შედის 9 საბავშვო ბაღი და ერთი სასკოლო მზაობის ჯგუფი, რომელიც ემსახურება შემდეგი დასახლებების 320 ბავშვს ქალაქ დმანისი, სოფელი იაღუფლო, სოფელი ზემო ოროზმანი, სოფელი დალარი, სოფელი ქვემო ოროზმანი, სოფელი ბაზაქლო, სოფელი კარაბულახი, სოფელი განთიადი, სოფელი კიზილქილისა, სოფელი ტნუსი, სოფელი ჯავახი, სოფელი ას კაკლიანი, სოფელი ბოსლები, სოფელი ვარდისუბანი, სოფელი დიდი დმანისი, სოფელი მაშავერა, სოფელი გომარეთი, სოფელი ახა, სოფელი ველისპირი, სოფელი განახლება და სოფელ სარკინეთი, სოფელი კარაბულახი, სოფელი ამამლო. 2021-2024 წლებში განხორციელდა ბაღების რეაბილიტაცია. 2023 წლიდან სოფელ ამამლოში ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ორი ჯგუფი. 2024 წელს სოფელ კამარლოში გაიხსნა ალტერნატიული სათემო საბავშვო ბაღი. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაგეგმილია სასკოლო მზაობის ჯგუფის გახსნა სოფელ იფნარში და ახალი საბავშვო ბაღების გახსნა სოფელ ირგანჩაისა და სოფელ ამამლოში. საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი დარეგულირებულია "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით, "აღზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #478 დადგენილებით, კვების სტანდარტი დარეგულირებულია "ტექნიკური რეგლამენტის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით.</p> <p>ჰიგიენის მიმართულებით "ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით.</p>			

	კოდი	დასახელება	სულ	2026	2027	2028	2029
ქვეპროგრამები	040101	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება	11369,0	2369.0	3000.0	3000.0	3000.0
	040102	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა						

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
	040101		2 369.0	11369,0
ქვეპროგრამის განმახორციელები	ააიპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური			

<p>ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>მიზანი: სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა</p> <p>დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 9 საბავშვო ბაღი, ორი სასკოლო მზაობის ჯგუფი ერთი ალტერნატიული საბავშვო ბაღისოფელ კამარლოში, 2026 წლის აპრილიდან იგეგმება 2 საბავშვო ბაღის (25 ბავშვზე გათვლილი სოფელ ამამლოს და სოფელ ირგანჩაის საბავშვო ბაღი) ამოქმედება, ასევე, იფნარის საჯარო სკოლაში სასკოლო მზაობის ჯგუფის გახსნა. მთლიანად სამსახურში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია 97 თანამშრომელი, მათ შორის 35 აღმზრდელი და 16 თანამშემწე, ხოლო 2025 წლის ბიუჯეტი გათვლილია 410 აღსაზრდელზე და საბავშვო ბაღების დამატების შემთხვევაში აღსაზრდელთა რაოდენობა გაიზარდება 250- ით.</p> <p>ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ დაქვემდებარებაში შემავალ საბავშვო ბაღებში აქტიურად მიმდინარეობს მზადება ავტორიზაციისათვის, რაც მოიცავს ბაღების რეაბილიტაციას, სათანადო კვალიფიკაციური კადრების მოძიებასა და ეტაპობრივად, უწყვეტ რეჟიმში გადამზადებას. გაერთიანებაში ამაჟამად დასაქმებულ აღმზრდელთა უმრავლესობას გავლილი აქვს აღმზრდელ - პედაგოგის 66 საათიანი ტრენინგმოდული, აგრეთვე „პირველადი (გადაუდებელი) სამედიცინო დახმარების“ ტრენინგი, „სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის ტრენინგი“, „შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვა“, შესაბამისი პერსონალი გადამზადებულია „სურსათის უვნებლობა და HACCP“ – ის ტრენინგში.</p> <p>საბავშვო ბაღებში დანერგილია ახალი კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“, შესაბამისად შერჩეული სამიზნე ჯგუფები გადამზადებულია, განათლების სამინისტროსა და მასწავლებლის სახლის მიერ.</p> <p>ყველა საბავშვო ბაღისათვის გათვალისწინებულია ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის, საკანცელარიო და თვალსაჩინო მასალის, აგრეთვე სათანამშრომლისა და საბავშვო ლიტერატურის შექმნა.</p> <p>ადგილობრივი სუბსიდია ხმარდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების შიდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, ავეჯის განახლებასა და ა.შ. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.</p> <p>სამსახურის გააჩნია დამტკიცებული სტრატეგია, რომლის მიზანია გაიზარდოს საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა არამარტო ქართულ თემში, არამედ აზერბაიჯანულ სექტორშიც. კიდევ უფრო ამაღლდეს პერსონალის კვალიფიკაციის დონე, გაუმჯობესდეს საბავშვო ბაღებში ფიზიკური გარემო და უნივერსალური დიზაინი, ინკლუზიური განათლება. უფრო ეფექტური გახდეს საკონსულტაციო საბჭოების მუშაობა, მშობლებისა და თემის ჩართულობა საბავშვო ბაღების საქმიანობაში.</p>																																			
<p>ღონისძიებები</p>	<table border="1"> <thead> <tr> <th>კოდი</th> <th>დასახელება</th> <th>სულ</th> <th>2026</th> <th>2027</th> <th>2028</th> <th>2029</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td></td> <td>სწავლების ხარისხის ამაღლება</td> <td>30,7</td> <td>3.7</td> <td>9.0</td> <td>9.0</td> <td>9.0</td> </tr> <tr> <td></td> <td>კვება</td> <td>1249,5</td> <td>199.5</td> <td>350.0</td> <td>350.0</td> <td>350.0</td> </tr> <tr> <td></td> <td>ბაღების ადმინისტრირება</td> <td>8997,2</td> <td>1565.0</td> <td>2477.4</td> <td>2477.4</td> <td>2477.4</td> </tr> <tr> <td></td> <td>ბაღების აღჭურვა</td> <td>572,1</td> <td>81.3</td> <td>163.6</td> <td>163.6</td> <td>163.6</td> </tr> </tbody> </table>	კოდი	დასახელება	სულ	2026	2027	2028	2029		სწავლების ხარისხის ამაღლება	30,7	3.7	9.0	9.0	9.0		კვება	1249,5	199.5	350.0	350.0	350.0		ბაღების ადმინისტრირება	8997,2	1565.0	2477.4	2477.4	2477.4		ბაღების აღჭურვა	572,1	81.3	163.6	163.6	163.6
კოდი	დასახელება	სულ	2026	2027	2028	2029																														
	სწავლების ხარისხის ამაღლება	30,7	3.7	9.0	9.0	9.0																														
	კვება	1249,5	199.5	350.0	350.0	350.0																														
	ბაღების ადმინისტრირება	8997,2	1565.0	2477.4	2477.4	2477.4																														
	ბაღების აღჭურვა	572,1	81.3	163.6	163.6	163.6																														

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესებული ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურა; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული, სტანდარტების შესაბამისი საადმინისტრაციო გარემო და უზრუნველყოფილია ბავშვთა ადრეული განვითარება და სასკოლო მზაობა
-------------------------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
	0402		247.4	989.6

პროგრამის განმახორციელები	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
----------------------------------	---

პროგრამის მიზანი და აღწერა	განათლება, მათ შორის პროფესიული განათლება, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთ მდგრად საშუალებას. ამ მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტი ახორციელებს პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამას, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი მოსახლეობის სოციალური ინტეგრაცია, მათი კომპეტენციების ამაღლება განათლების მიღებისა თუ დასაქმების შემდგომი პერსპექტივით. პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე მოქმედებს შემდეგი ქვეპროგრამები: საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობა და პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობა პროგრამის მიზანი - პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.
-----------------------------------	--

ქვეპროგრამები	კოდი	დასახელება	სულ	2026	2027	2028	2029
		040201	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	928.2	232.2	232.0	232.0
	040202	პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა	70.6	15.7	18.3	18.3	18.3

მოსალოდნელი შედეგი	პროფესიული სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სოციალური ინტეგრაცია
---------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	------------------------------------	----------------------------------	---

	040201		232.2	928.2
ქვეპროგრამის განმახორციელები	ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი			
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და უცხო ენების შესწავლის უზრუნველყოფა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლის ხელშეწყობა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში, კერძოდ ქალაქ დმანისში ფუნქციონირებს ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას. დაფუძნდა 2008 წლის 18 დეკემბერს. საგანმანათლებლო ცენტრში წარმოებს სახელმწიფო ენისა და უცხო ენის (ინგლისური) უფასო სწავლება. პროგრამა არის ერთწლიანი და ხდება თანმიმდევრული შესწავლა დონეების მიხედვით (ინდივიდუალური მიდგომა). ცენტრში დადგენილია კვირაში 5 დღიანი სასწავლო/სააღზრდელი პროცესი. ცენტრში დასაქმებულია 13 ადამიანი (4 მამაკაცი, 9 ქალი; 8 ქართველი, 4 სხვა ეთნოსის) და ირიცხება 172 სხვადასხვა ეთნოსის ჯგუფის წარმომადგენელი. ცენტრი წარმოადგენს სკოლის გარეშე სასწავლო დაწესებულებას. საგანმანათლებლო ცენტრში წარმოებს სახელმწიფო ენისა და უცხო ენის (ინგლისური) უფასო სწავლება. 2021 წლის დასაწყისში ქართული ენის სასწავლო პროგრამაში ახალგაზრდებში, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობებში, ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ინტერესის გაღვივებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით მოხდა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსის ინტეგრირება.</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სახელმწიფო ენისა და უცხო ენების ცოდნის დონის ამაღლება და საკომუნიკაციო უნარჩვევების განვითარება ახალგაზრდებში			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
			040202	
ქვეპროგრამის განმახორციელები	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური			
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	<p>დმანისის მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, ხელმისაწვდომობის ზრდა, პროფესიული სტუდენტების როგორც დმანისის მუნიციპალიტეტში, ასევე ქვეყნის მასშტაბით, პრიორიტეტულ სფეროებში მომზადება, დასაქმებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შესწავლის ხელშეწყობა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სტუდენტებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული პროფესიის დაუფლების მიზნით ჩაირიცხებიან დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედ შვეიცარიულ-აგრარულ სკოლა „კაკასიაში“, დმანისის მუნიციპალიტეტი დაუფინანსებს სწავლას 50 % ოდენობით. ასევე, 2024 წლიდან პროფესიული სასწავლებლის სტუდენტს (შვეიცარიულ-აგრარული სასწავლებლის სტუდენტების გარდა), რომლის სასწავლებელში ჩაირიცხვა დასტურდება შესაბამისი ცნობით, ერთჯერადი წახალისების სახით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისგან გადაეცემა თანხა 300 ლარის ოდენობით.</p>			

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროფესიული სტუდენტების დაფინანსების გზით, მუნიციპალიტეტში წახალისებულია პროფესიული სწავლება
------------------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების დაფინანსება					2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
	0403						5,0	5,0
პროგრამის განმახორციელები	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია							
პროგრამის მიზანი და აღწერა	მიზანი: ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობა. პროგრამა მოიცავს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედი საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფას და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციას.							
ქვეპროგრამები	კოდი	დასახელება	სულ	2026	2027	2028	2029	
	040301	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება						
	040302	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია						
მოსალოდნელი შედეგი	პროფესიული სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სოციალური ინტეგრაცია							

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
	040301			
ქვეპროგრამის განმახორციელები	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური			

<p>ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამა მოიცავს. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველ ქვეპროგრამას. ახორციელებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია. რეისების ჯეროვნად შესრულებას ზედამხედველობს სსიპ დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურთან ერთად. ტრანსპორტირება ხორციელდება მუნიციპალიტეტში მოქმედი საჯარო სკოლების მოთხოვნისამებრ და ქვეპროგრამით სარგებლობს სხვადასხვა სოფლის წარმომადგენელი მოსწავლეები. მოსწავლეებს ტრანსპორტი ემსახურება დირექტორის მიერ განსაზღვრული გრაფიკით.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>უზრუნველყოფილია მოსწავლეთა საჯარო სკოლამდე ტრანსპორტირება</p>

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის კულტურის სამსახურის, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების მიერ.

- კულტურა, სპორტი, რელიგია და ახალგაზრდობის ხელშეწყობა, (პროგრამული კოდი 0500).

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობის გამოვლენა.

ათას ლარებში

პრიორიტეტის და მასში შემავალი პროგრამების/ღონისძიებების დასახელება	სულ	2026	2027	2028	2029
05 00 კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი	16748,9	4 113.4	4 205 .1	4 205.1	4 205 .1
0501 სპორტის სფეროს განვითარება	5282,4	1 240.6	1 320.6	1 320.6	1 320.6
050101 სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	4716,0	1099,9	1 179.9	1 179.9	1 179.9
050102 სპორტული ღონისძიებები	562,8	140.7	140.7	140.7	140.7
0502 კულტურის სფეროს განვითარება	9476,5	2 387.8	2 363,0	2 363,0	2 363,0
050201 კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა,	5286,7	1 313.7	1 322.0	1 322.0	1 322.0
050202 სახელოვნებო დაწესებულებების ხელშეწყობა	1399,8	383.5	349.5	349.5	349.5
050203 საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	1225,0	325,6	308.0	308.0	308.0
050204 კულტურული ღონისძიებები	1565,0	365.0	400.0	400.0	400.0
0503 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	800,0	200.0	200.0	200.0	200.0
0504 ინიციატივების დაფინანსება	40,0	150	10.0	10.0	10.0
0505 ახალგაზრდობის მხარდაჭერა	930,0	210.0	240.0	240.0	240.0
050501 წარჩინებული სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების წახალისება	670,0	160.0	170.0	170.0	170.0
050502 ნიჭიერი ახალგაზრდობის ხელშეწყობა	260,0	50.0	70.0	70.0	70.0
0506 საგამომცემლო მომსახურება	220,0	60.0	60.0	60.0	60.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება						2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
	0501							1240.6	5282,4
პროგრამის განმახორციელები	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური								
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>პროგრამის მიზანია სპორტის სფეროს განვითარებით, თანასწორი შესაძლებლობების შექმნა, გენდერულად სენსიტიური თუ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მათ შორის შშმ პირებისათვის, სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p> <p>დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია სპორტის სფეროს განვითარებით, ხელმისაწვდომობის გაზრდით, საყოველთაობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვით, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ეფექტური მენეჯმენტი; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; ასევე, სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;</p> <p>პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს: სპორტული სკოლის ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც სუბსიდირება ხდება დმანისში არსებული ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლის. მეორე ქვეპროგრამა სპორტული ღონისძიებები ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით და მოიცავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებას, ნორჩი ფეხბურთელების ხელშეწყობას, სპორტული ინვენტარის განახლებასა და სხვა.</p>								
ქვეპროგრამები	კოდი	დასახელება	სულ	2026	2027	2028	2029		
	050101	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	4780,0	1 240.6	1 179.9	1 179.9	1 179.9		
	050102	სპორტული ღონისძიებები	562,8	140.7	140.7	140.7	140.7		
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია სპორტის ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და მოსახლეობის თანაბარი ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში, გაუმჯობესებულია ადაპტირებული სპორტული ინფრასტრუქტურა								

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება
-------------------------	------	-----------------------------------	----------------------------------	------------------------------

				ათას ლარში
	050101		1 240,6	4780,0
ქვეპროგრამის განმახორციელები	ა(ა)იპ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა			
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა“ და მასში შემავალი ხუთი ფილიალი - სოფელ გომარეთში, სოფელ განთიადში და სოფელ ბოსლებში, სოფელ ამამლოში, სოფელ ზემო კარაბულხში. სპორტული სკოლის მიზანია მოზარდთა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია და ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სპორტში და ამისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტსკოლის მოსწავლეების სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა</p> <p>როგორც ქვეყნის შგნით, ისე ქვეყნის გარეთ. სკოლა უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას სპორტის 11 სახეობის მიმართულებით, სადაც გაერთიანებული არიან სხვადასხვა ასაკობრივი სპორტსმენები 6-დან 18 წლამდე 610 ბენეფიციარი (54 გოგონა და 556 ჭაბუკი). აქედან 180 აზერბაიჯანელია და 430 ქართველი. სპორტულ სკოლაში მომუშავე პერსონალი (ადმინისტრაცია და მწვრთნელები) 30 ადამიანისაგან (6 ქალი, 24 მამაკაცი) შედგება. სკოლაში მოქმედებს შემდეგი სპორტული წრეები: ძიუდოს 5 წრე. ფეხბურთის 6 წრე, ქართული ჭიდაობის - ჭიდაობა სამბოს, თავისუფალი ჭიდაობის, ჭადრაკის, კიკბოქსინგის, შერეული ორთაბრძოლების, მაგიდის ჩოგბურთის, მკლავჭიდის, ძალოსნობის, ფრენბურთის. ამ წრეებს ემსახურება 15 მწვრთნელი. ასევე, შეიქმნა საერთაშორისო საფეხბურთო კლუბი „დმანისი“ სადაც ირიცხება 30 ფეხბურთელი. გუნდს ჰყავს 5 პერსონალი (მთავარი მწვრთნელი, მწვრთნელის ასისტენტი, მეკარეების მწვრთნელი, მწვრთნელის თანაშემწე, ექიმი).</p>			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დმანისის მუნიციპალიტეტში სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობით მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა სპორტში და პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდა.			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
	050102		140,7	562,8
ქვეპროგრამის განმახორციელები	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური			

<p>ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაგეგმილია საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის ქალების, კაცების, შშმ პირების და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ამასთან, მასობრივი სპორტის განვითარების გზით სპორტის სხვადასხვა სფეროს პოპულარიზაცია, ცნობიერების კამპანიების წარმოება. მუნიციპალიტეტში ჩატარდება ტურნირები და სახელობითი თასის შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, აღინიშნება ევროპის სპორტის კვირეული. დაიგეგმება სხვადასხვა აქტივობები სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ამასთან, დაფინანსდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, სასკოლო ლიგა, სადაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა სკოლის მოსწავლე იქნება ჩართული; წარმატებულ სპორტსმენებთან ჩატარდება შეხვედრები და უზრუნველყოფილი იქნება მათ მიერ გამართულ მასტერკლასებზე ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა. განსაზღვრული ბიუჯეტი მოხმარდება ფორმების, თასების, სიგელებისა და სხვა სპორტული ინვენტარის შეძენას. ხელი შეეწყობა ნაკლებად ცნობადი ან ცნობადი სპორტის სახეობების, მაგალითად ფეინთბოლის, ფეხბურთის პოპულარიზაციას, როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში და სხვა.</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>უზრუნველყოფილია სპორტული ტურნირებისა და შეჯიბრებების ჩატარება და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>კულტურის სფეროს განვითარება</p>	<p>2026 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>	<p>2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში</p>
	<p>0502</p>		<p>2 287.8</p>	<p>9476,5</p>
<p>პროგრამის განმახორციელები</p>	<p>დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური</p>			
<p>პროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>დმანისის მუნიციპალიტეტის მიზანია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობის უზრუნველყოფა, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია, კულტურული ტურიზმის განვითარება და შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელშეწყობა. ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 200-მდე კულტურული ძეგლის აღწერა, მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტი ორიენტირებულია ახალგაზრდების საზოგადოებრივ, კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობაზე. დმანისის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას.</p>			

	<p>ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგადად 4 ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება 3 მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ესენია: ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, რომელსაც აქვს ფილიალი სოფელ გომარეთში, ა(ა)იპ დმანისის სამუსიკო სკოლა - ფუნქციონირებს სოფელ განთიადისა და სოფელ ვარდისუბნის ფილიალები და დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური, რომელშიც შედის საბავშვო, ცენტრალური და ოთხი სოფლის (ამამლო, გომარეთი, ვარდისუბანი, განთიადი) ბიბლიოთეკა. მეოთხე ქვეპროგრამას მოიცავს ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას, კულტურული მრავალფეროვნების ფესტივალების, სხვადასხვა კონცერტების გამოფენების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების დაგეგმვა-განხორციელებასა და ახალგაზრდების დეაქტივაციის კულტურის მუშაკებთან შეხვედრის ორგანიზებას.</p>						
ქვეპროგრამები	კოდი	დასახელება	სულ	2026	2027	2028	2029
	050201	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა,	5286,7	1 313.7	1 322.0	1 322.0	1 322.0
	050202	სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა	1399,8	383.5	349.5	349.5	349.5
	050203	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	1225,0	325.6	308.0	308.0	308.0
	050204	კულტურული ღონისძიებები	1565,0	365.0	400.0	400.0	400.0
მოსალოდნელი შედეგი	<p>ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ყველა წარმომადგენლის (შშმპ, ქალები, კაცები და ა.შ) ჩართულობა</p>						

ქვეპროგრამის	კოდი		2026 წლის დაფინანსება	2026-2029 წლების
--------------	------	--	-----------------------	------------------

დასახელება	050201	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	ათას ლარში	დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელები	ააიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი			
ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა	<p>დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის, მათ შორის ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების, შშმ პირების და სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი პირების, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კოლექტივების, სახელოვნებო და სხვა წრეების საქმიანობაში. ახალგაზრდებში ესთეტიური გემოვნების ჩამოყალიბება და მათი აღზრდა - განათლება ქართული ტრადიციების შესაბამისად. სახვითი, (ფერწერა, გრაფიკა, ხატვა) გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების (თექის დამუშავება, ქსოვა, ქარგვა. ხეზე კვეთა) განვითარების ხელშეწყობა, მივიწყებული ტრადიციული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია: ხალხური მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების, ოსტატების გამოვლენა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა. ასევე განსაკუთრებული და გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა და ხელშეწყობა. ხალხური მუსიკის, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის პირობების შექმნა, სამუზეუმო და ტურისტული საქმიანობის განვითარება. ამ ექსპოზიციებისათვის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა მასალის მოძიება, საზოგადოებისათვის წარმოჩენა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების აღწერა, ფოტო-ფიქსაცია და სხვ. თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, საქართველოს ეროვნულ და სხვა მუზეუმებთან, ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან, უცხოეთის სხვადასხვა სამუზეუმო, სამეცნიერო და კულტურის ცენტრებთან.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასწავლო-სარეპეტიციო პროცესში სოფლად მცხოვრები ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ასევე კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა და სხვ.</p> <p>ა(ა)იპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის ქართული ხალხური რეწვის (თექა და ხეზე კვეთა), ხატვის, ფოლკლორული (სიმღერა და ცეკვა), ხალხური საკრავების, საგალობლების, საესტრადო, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების და თეატრალური სტუდიები. ასევე, ფოლკლორული ანსამბლები (ვაჟთა</p>			

	<p>ფოლკლორული ანსამბლი "შგარიდა", ქალთა ფოლკლორული ანსამბლი "ირინოლა", ინტერნაციონალური ანსამბლი "დმანისური აისი", გივი ტატიშვილის სახელობის მოზრდილთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მართვე“. სტუდიებში დღეისათვის დადის 299 მოსწავლე (აქედან 198 გოგონა, 101 ბიჭი). 2024 წელს ცენტრის გომარეთის ფილიალს დაემატა ორი წრე, ხატვის და ქართული ხალხური ცეკვის, აღნიშნულ სტუდიებში დღეისათვის დადის 49 ბავშვი. ცენტრში დასაქმებულია 91 თანამშრომელი (49 ქალი, 42 კაცი.) 88 პოზიციაზე (ადმინისტრაცია, სტუდიების ხელმძღვანელები, ანსამბლების წევრები და სხვ.), აქედან 23 შტატიანი და 65 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელი.</p> <p>ცენტრში ასევე ფუნქციონირებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება, პოპულარიზაცია და სხვ. იგეგმება აღნიშნული დარბაზის გაერთიანება დმანისის მუზეუმ-ნაკრძალთან.</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>ხელოვნების ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირება და ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის შექმნილია ხელოვნების სხვადასხვა სფეროს შესწავლის შესაბამისი პირობები.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა</p>	<p>2026 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>	<p>2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში</p>
	<p>050202</p>		<p>383.5</p>	<p>1534.0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელები</p>	<p>ააიპ დმანისის სამუსიკო სკოლა</p>			
<p>ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ „ დმანისის სამუსიკო სკოლა“ და მასში შემავალი ორი ფილიალი (სოფელ განთიადსა და სოფელ ვარდისუბანში) ფუნქციონირებს. ააიპ „ დმანისის სამუსიკო სკოლის“ მისიაა დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდებისათვის კლასიკური მუსიკის სწავლება, ფორტეპიანოს და გიტარის კლასების გამართული ფუნქციონირება, ზოგადად ჯანსაღი სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების ფესტივალებსა და კონკურსებში, მუსიკალურ-შემეცნებით წარმოდგენებში მონაწილეობა. სამუსიკო სკოლაში განათლებას სულ 89 მოსწავლე (8 ბიჭი და 81 გოგონა) იღებს. ქ. დმანისში მდებარე სამუსიკო სკოლაში 38 მოსწავლე ირიცხება (6 ბიჭი და 32 გოგონა), აქედან 3 აზერბაიჯანელია, 2 ბერძენი, ხოლო 33 ქართველი. გიტარის კლასში 12 მოსწავლე (4 ბიჭი, 8 გოგონა) სწავლობს, აქედან 2 მოსწავლე ირიცხება, როგორც გიტარის ისე ფორტეპიანოს კლასში. სოფელ განთიადის ფილიალში 24 მოსწავლეა (1 ბიჭი და</p>			

	<p>23 გოგონა), აქედან 3 აზერბაიჯანელია, 1 ავღანელი, ხოლო 20 ქართველი. სოფელ ვარდისუბნის ფილიალში 27 მოსწავლეა (1 ბიჭი და 26 გოგონა), აღნიშნულ ფილიალში ყველა მოსწავლე ქართველია.</p> <p>სამუსიკო სკოლაში მომუშავე პერსონალი (ადმინისტრაცია და პედაგოგები) 17 ადამიანისაგან (15 ქალი, 2 მამაკაცი) შედგება. სკოლაში მიმდინარეობს ფორტეპიანოს და გიტარის სწავლება, მოსწავლეები გადანაწილებულნი არიან კლასების მიხედვით. ძირითად სპეციალობებთან ერთად სკოლაში ისწავლება საგუნდო მუსიკა და თეორიული საგნები (სოლფეჯიო, მუსლიტრატურა). 2026 წელს დაგეგმილია მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო ტურები (მუზეუმებში, კონსერვატორიაში, საქართველოს მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე და ა.შ). ამას გარდა, სამუსიკო სკოლა გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას: როგორებიცაა, რეგიონალური საფორტეპიანო და საგუნდო კონკურსები, ადგილობრივი კულტურის სფეროს ღონისძიებები და რათქმაუნდა განახორციელებს საკუთრივ შიდა ღონისძიებებსაც.</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>უზრუნველყოფილია სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ბავშვებსა და ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომია მუსიკალური განათლების მიღება, კონკურსებაში, ფესტივალებსა და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო საქმის ხელშეწყობა	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
ქვეპროგრამის განმახორციელები	050203	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	325.6	1302.4

<p>ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>ა(ა)იპ დმანისის საბიბლიოთეკო სამსახურის დაქვემდებარებაშია ცენტრალური ბიბლიოთეკა ოთხი განყოფილებით: მომსახურების განყოფილება, საბავშვო განყოფილება, სამკითხველო განყოფილება და მედიათეკა. ასევე აქვს ოთხი ფილიალი: სოფელ განთიადის ბიბლიოთეკა, სოფელ ვარდისუბნის ბიბლიოთეკა, სოფელ გომარეთის ბიბლიოთეკა, სოფელ ამამლოს ბიბლიოთეკა. საბიბლიოთეკო სამსახურში დასაქმებულია სულ 18 ადამიანი, თვრამეტევე თანამშრომელი ქალია.</p> <p>ბეჭდვითი გამოცემების შენახვის, დაცვისა და მკითხველთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით, იგეგმება წიგნადი ფონდის სისტემატიური განახლება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წიგნიერების დონის გაზრდის, მოსახლეობაში, განსაკუთრებით ბავშვებში, კითხვის პოპულარიზაციის, საუკეთესო მკითხველების გამოვლენის მიზნით, ჩატარდება ინტერაქტიული, სათავგადასავლო თამაშები, რომლის ფარგლებშიც გაიმართება სხვადასხვა ღონისძიება. სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნება კულტურის სფეროში მოღვაწეთა საიუბილეო თარიღები. დაგეგმილია მკითხველთა ჩართულობით კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები მწერლებთან, ხელოვანებთან და სხვა. სხვადასხვა გამომცემლობასთან თანამშრომლობით, მოეწყობა წიგნის გამოფენები; ახალი ქართული თანამედროვე გამოცემების გაცნობის მიზნით გაიმართება შეხვედრები თანამედროვე ავტორებთან. სკოლებთან აქტიური თანამშრომლობით, მოსწავლე ახალგაზრდობაში წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით, ჩატარდება სხვადასხვა ვიქტორინა და კონკურსი. მსურველებს საშუალება მიეცემათ ასევე გაეცნონ ყოველდღიურ პრესას, პერიოდულ გამოცემებს, მათ შორის ლიტერატურულ/ შემეცნებით ჟურნალებს.</p> <p>წიგნის კითხვის პოპულარიზაციის მიზნით გაგრძელდება მკითხველთა კლუბების ფუნქციონირება და დაემატება ახალი ჯგუფი მკითხველთა ასაკის გათვალისწინებით.</p> <p>ბიბლიოთეკასთან ერთად იფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მედიათეკაც. სადაც მსურველებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ ელექტრონული ბიბლიოთეკით, წაიკითხოთ აუდიოწიგნები. გამოიყენონ ინფორმაციის მიღების სხვადასხვა საშუალებები.</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>მომხმარებლის რაოდენობის 50% -იანი ზრდა</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>კულტურული ღონისძიებები</p>	<p>2026 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>	<p>2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში</p>
	<p>050204</p>		<p>365.0</p>	<p>1565,0</p>

<p>ქვეპროგრამის განმახორციელები</p>	<p>დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p>მიზანი: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, კულტურის სფეროს დარგების ხელშეწყობა და მათი პოპულარიზაციისათვის შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება, ასევე კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი კულტურული ღონისძიებები, სადაც მეტად იქნება წარმოდგენილი სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულება (სახვითი, თეატრალური, სამუსიკო და ტრადიციული). ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფისა და მოქალაქეების ჩართულობა, ამ მიზნით მოხდება მათთან შეხვედრების ორგანიზება. იგეგმება კულტურული ღონისძიებები როგორც არის: საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ტრადიციული დღესასწაულები, საახალწლო კონცერტი, სამგლოვიარო დღეებისადმი მიძღვნილი აქტივობები "დმანისობა", ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ტურისტული ფესტივალი, საახალწლო კონცერტი და სხვადასხვა კულტურულ-შემეცნებითი შეხვედრები ახალგაზრდებისთვის. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფესტივალი - შემოქმედი ახალგაზრდობა და სხვა. ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხა მოხმარდება სცენისა და აპარატურის დაქირავებას, ღონისძიების ორგანიზების მომსახურებების შესყიდვას, მუსიკალური გაფორმებისათვის სხვადასხვა შემსრულებლების მოწვევას, დაჯილდოვებისათვის საჭირო საჩუქრებისა თუ ბეჭდური მასალის შესყიდვას, მათ შორის საპატიო მოქალაქის წოდების დიპლომების, მედლების, სპეცპრიზების, თაიგულების და ა.შ დამზადებას და სხვა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში, მერიის სოციალური სამსახურის ჩართულობით, მოხდება მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის სასაჩუქრე პაკეტების შექმნა/წახალისება, ისეთ სახალხო თუ საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებით როგორცაა: შობა-ახალი წელი (200 სოც. შეჭირვებული ოჯახისთვის პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი, ასევე, 70 სასაჩუქრე კალათა), აღდგომა (150 სოც. შეჭირვებული ოჯახისთვის პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი, 20 სასაჩუქრე კალათა), ნოვრუზ ბაირამი (150 ოჯახისთვის პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი, ასევე, 15 დვაწლმოსილი, საზოგადოებისათვის პატივსაცემი პიროვნება), დედის დღე და ქალთა დღე (50 ქალბატონისთვის სასაჩუქრე კალათა), პოლიციის დღე (სასაჩუქრე სუვენირები) და სხვა.</p> <p>ქვეპროგრამა მოიცავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას, პოპულარიზაციასა და ვიზიტორებისთვის მიმზიდველი ვიზუალური გარემოს შექმნას.</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>უზრუნველყოფილია მოსახლეობის ყველა წარმომადგენლის, ქალების, კაცების, ახალგაზრდების, შშმპ, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა თანაბარი ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში და ხელშეწყობილია კულტურული ტურიზმის განვითარება</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	ინიციატივების დაფინანსება	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
	0504		15.0	60,0
პროგრამის განმახორციელები	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური			
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p>მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული/ფაქტობრივად მცხოვრები ახალგაზრდა პირების ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება.</p> <p>იქიდან გამომდინარე, რომ ახალგაზრდები წარმოადგენენ საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტს, რომელთაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვთ, დმანისის მუნიციპალიტეტმა რუსთავის ჰაბთან თანამშრომლობით შემუშავდა აღნიშნული პროგრამა, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდული ინიციატივების ან მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. პროგრამას საფუძვლად უდევს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის N7054 დადგენილება „2020-2030 ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის დამტკიცების შესახებ, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით ეთხოვათ მუნიციპალიტეტებს ხელი შეუწყონ კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას.</p> <p>პროგრამის არსი მდგომარეობს შემდეგში: დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის მერიის გარდა, რომელიმე დონორი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში (არომელიც ეხება ახალგაზრდების გაძლიერებას) გამარჯვების შემთხვევაში, თანადაფინანსების მსურველი ფიზიკური პირი ან არასამთავრობო ორგანიზაცია მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს წერილობით საპროექტო განაცხადს, რომელსაც განიხილავს შესაბამისი კომისია, მუნიციპალიტეტის მერი და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი დააფინანსებს პროექტს თანადაფინანსებით.</p>			
მოსალოდნელი შედეგი	მხარდაჭერილი და წახალისებულია ახალგაზრდების ინიციატივები და შესაძლებლობები, შესაბამისად გაძლიერებულია ადგილობრივი ახალგაზრდული პოლიტიკა			

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა					2026 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026-2029 წლების დაფინანსება ათას ლარში
	0505						210.0	940,0
პროგრამის განმახორციელები	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური							
